სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 1 (4522) • 13 იანვარი • 2016 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

ახალი წლის მეკვლე – თბილისის 31-ე საჯარო სკოლა

აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ

სკოლის დირექტორი
მარინე ნიჟარაძე

ჩუღურეთის ერთ-ერთ ძველ უბანს, კერძოდ, აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას** ქუჩის №17-ს ამშვენებს ორიგინალური არქიტექტურული სტილით ნაგები შენობა. ეს გახლავთ ძველი, მაგრამ მარად ჭაბუკი 31-ე საჯარო სკოლა, სახელოვან მამულიშვილთა აღმზრდელი. მის 70-ზე მეტი წლის საქმიანობას ლამაზი ბიოგრაფია ამშვენებს. აქ უმოღვაწიათ დიდ პედაგოგებს, ბრწყინვალე დირექტორებს.

იგი განათლების ისეთი ტაძარია, რომელიც ღირსია თავისი მატიანე ჰქონდეს, მოკლედ, თავისი ისტორია შეადგინოს, სწორედ ისეთი წიგნი გამოსცეს, როგორიც, მაგალითად, მე-11 სკოლამ შექმნა სახელწოდებით: **„დედაქალაქის მეთერთმეტე – გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?“**

ამჯერად, სკოლის დღევანდელობასა და მომავალზე ვესაუბრებით ახალგაზრდა, გამოცდილ, შემოქმედ, სიახლეების ინიციატორ დირექტორს **მარინე ნიჟარაძეს**, რომელსაც დირექტორობის 10 წლის საიუბილეო თარიღი შეუსრულდა.

* * *

სკოლა ძვირფას ტრადიციებს წარმატებით აგრძელებს. მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა. როგორც ყოველთვის, დღესაც **აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ**. ეს ხომ მთავარია, წარმატებული სკოლის უპირობო გარანტიაა.

სერთიფიცირებული პედაგოგები: **სოფიკო ჯანაშია, ხათუნა ვასაძე, ნინო ოდიშელიძე, თამარ ძაძამია, მზია ბექაური, რუსუდან ჩხიკვაძე, მარიამ ჭავჭავაძე, ქეთევან გულიაშვილი, ირმა შველიძე, მარინე კაიშაური** და სხვები, სწორედ რომ, ამინდს ქმნიან სასკოლო ცხოვრებაში.

სწავლების ხარისხის ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვთ დირექტორის მოადგილეს **სოფიკო ჯანაშიას**, სასწავლო პროცესის კოორდინატორს **თეა ბზიშვილს**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს **დავით გიგოშვილს**.

სწავლების მეთოდურ მხარეს სრულყოფენ და წარმატებებს აღწევენ საგნობრივი კათედრები. ამ კადრებს კი შემოქმედებითად უძღვებიან გამოცდილი ხელმძღვანელები: **გელა კამკამიძე, თეა ბერიძე, ირმა შველიძე, ეკა ხაბურზანია, ხათუნა ვასაძე, მაია ბეჟანიშვილი, თამარ ბუჩუკური**.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“, – პედაგოგი მისი აღზრდილების წარმატებებით ფასდება.

ამ კუთხით კი, მართლაც ბევრია თავმოსაწონებელი.

მასობრივია მოსწავლეთა ჩართულობა ეროვნულ ოლიმპიადებში. საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულია მე-12 კლასის მოსწავლე **გიორგი ჯავახიშვილი**. რაიონის გამგეობის მიერ დაჯილდოვებულია საუკეთესო მოსწავლე **ირაკლი რუსიშვილი** (მე-12 კლასი). სკოლას ჰყავს საამაყო სპორტსმენები: **ლუკა სოსიაშვილი, თაკო ეპიტაშვილი**, (ფეხბურთი). იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული **ბაია ბოლქვაძე** (მე-12 კლასი).

არიან საამაყო მომღერლები: **მალხაზ ლაზარია, ნიკოლოზ მახარობლიძე, რეზო მახარობლიძე, მარი ხელაძე, ლაშა ჩოხელი, თამარ თევზაძე**. მუსიკოსები: **ქრისტინე შაშიაშვილი, მარიამ შაშიაშვილი**, მხატვრები: **მარიამ** და **სალომე საზანდრიშვილები. გიორგი ლაზარია, გიორგი კლდიაშვილი, ანა ზარიძე, მარიამ ჭულუხაძე. ლიზი შახბატიანი, მარია ნიდენსი, ლანა ავეტისიანცი, გიორგი გვალია, გიორგი თავხელიძე, ზაზა ვალიშვილი, მარიამ** და **ანა ტალახაძეები, ნინო კურტანიძე**. პიანისტი – **ნანა დარახველიძე, თამარ საბაური**.

2015 წელს სკოლა დაამთავრა 50 მოსწავლემ. აქედან სამი მედალოსანია: ოქროს მფლობელები არიან: **ანა ნატროშვილი, თინათინ კუჭუხიძე**, ვერცხლისა – **ლალი ინწკირველი**.

100%-იანი დაფინანსება, ანუ გრანტი მოიპოვეს სტუდენტებმა: **ირაკლი გიორგობიანმა, ანა ნატროშვილმა, თინათინ კუჭუხიძემ, ლალი ინწკირველმა**.

სკოლაში ირიცხება საოჯახო ტიპის ცენტრის 6 მოსწავლე. ჰყავთ 7 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე. სკოლა მონაწილეობს სსსმ მოსწავლეების სათემო აქტივობებისა და ინტეგრაციის პროექტებში.

გამორჩეული კლასის ხელმძღვანელები არიან: **ბადრი ფიფია, დარეჯან დობაძიშვილი, ნინა ელისაბედაშვილი, ეკა ბარნაბიშვილი, მარინე კიკნაძე, მარიამ ჭავჭავაძე, ნაზი ვარამაშვილი, სოფიო ნადირაშვილი, ჟუჟუნა გოგოჭური, თამარ ბუჩუკური, ნინო გოგოლაძე, როზია კორძაია, სულიკო შეყილაძე, სილვა ქველაძე, მანანა ახვლედიანი, თინათინ კილაძე, ლელა დაფქვიაშვილი, რუსუდან ჩხიკვაძე, მზია ბექაური, თამარ ძაძამია, თეა ჯანაშია, ეკატერინე ხაბურზანია, იამზე ალთუნაშვილი, მაია ბეჟანიშვილი, რუზან ვათიაშვილი, ნათია კაპანაძე, ირმა შველიძე**.

ქალაქ თბილისის 31-ე საჯარო სკოლა თითოეულ მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს, კოლეგებს გილოცავთ ახალ წელს. 2016 წელი წარმატებების და წინსვლის წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის!

ესაუბრა
გორის მიშველაძე

P.S. გაზეთი **„სახალხო განათლება+“** უერთდება ამ მილოცვა-სურვილებს.

ბითრგი ლუთნიკე



შენი მეკვლე ვარ!

ჩემთ სამშობლოვ,
შენი მეკვლე ვარ,
– შემოვდგი ფეხი,
ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის
გადამკოცნელი!
ხალხთ ქართველთ, შენ გაიხარე.
ბედნიერების ვარ მომლოცველი!
ხალხთ, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხთ, აივსე მიწის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ
დაუშრობელად
შენი რითნი, მტკვარი, არაგვი!
სამშობლოვ, შენი კერის
მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაჟღერთ მინდა ოცნებით.
მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია
ჰანგი, შენდამი ტრფობის
მტყორცნელი.
ყოველდღე შენთვის ბედნიერების
და სიხარულის ვარ მომლოცველი!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ნარკვევი

ნელი ციცვიძე: „ჩემთვის პედაგოგობა აღმატებული ცხოვრებაა“

რუსთავის 23-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა **ნელი ციცვიძემ** არაერთხელ დაგვამახსოვრა თავი ჩატარებული ღონისძიებებით, რომლის სცენარის ავტორი და რეჟისორიც თავად იყო, მისი აღსაზრდელები კი, მასწავლებლის ფიქრს, განწყობებს, მზერას უსიტყვოდ აყოლილნი, ყველაფერს გემოვნებიანად და უშეცდომოდ ასრულებდნენ.

შარშანდელი მე-4ბ კლასი ნელი მასწავლებლის განვლილი ბიოგრაფიის ნაწილად იქცა, დაუვიწყარ და ულამაზეს ფურცლად, რომელსაც, როგორც ყოველთვის, არაერთხელ განაგრძობს ასეთი ეპიზოდები:

– გამარჯობათ, ნელი მასწ, ვეღარ მიცანით? მე დავითი ვარ, თქვენი ნამონაფარი...

ბიჭი გადაეხვევა. მასწავლებელი გულში ჩაიკრავს უკვე დავაჟკაცებულს, მოეფერება და ისევ დამოძღვრავს.

რამდენი დავითი, გიორგი, ქეთევანი, ნინო, ლუკა, მარიამი... რამდენი წლებს მიღმა დარჩენილი მე-4 კლასი...

რამდენი უძილო ღამე და ფიქრი ახალ პირველკლასელებთან შეხვედრაზე, ვინ იქნებიან, როგორები, რა ინტერესებით მოვლენ პატარები, როგორი ოჯახებიდან...

1974 წლიდან-დღემდე ასეა. დილაუთნია მიუყვება სკოლისკენ მიმავალ გზას და ფიქრისთვისაც რჩება დრო. ეს ქალაქი, ჭიათურის რაიონის სოფელ მანდაეთში დაბადებულსა და გაზრდილს, უკვე საკუთარ ქალაქად ექცა. აქ შექმნა ოჯახი, აქ, რუსთავში დააფრთიანა შვილები, აქ, 23-ე საჯარო სკოლაში გაატარა ათეული წელი.

დღეს **ნელი ციცვიძე** დაწყებითი კლასების სერთიფიცირებული პედაგოგია. მის პორტფელიოში რას არ ნახავთ. ყველაფერი, რაც პატარებს შეუქმნიათ და გაუკეთებიათ, რაც თავად საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებისათვის დაუგეგმავს. სკოლა და პედაგოგობა მისთვის მართლაც ყველაფერია.

ნათელა ჭინჭარაშვილი – 23-ე სკოლის პედაგოგი, ფასილიტატორი: ნელი ციცვიძე ჩვენი ღირსეული კოლეგაა, უაღრესად განათლებული, შემოქმედი, ის მუდამ საკუთარი თავის ძიებაშია.

ნათია ალექსიძე – 23-ე სკოლის პედაგოგი, ფასილიტატორი : ნელი მასწავლებელი ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივის ერთ-ერთი აქტიური წევრია, იგი საოცრად გულისხმიერია ყველა ბავშვის მიმართ, პედსაბჭოს სხდომებზე პირუთვნელად ამბობს სათქმელს, სკოლაში წვეულ სტუმრებს განსაკუთრებულად ხვდება, არის კარგი პიროვნება, კარგი დედა, კარგი მოქალაქე. ის ძალიან განათლებული ადამიანია.

სხვანაირად არც ეგების. პედაგოგების **სიმონ ციცვიძის** და **თამარ მუმლაძის** ოჯახში გაზრდილს, დღედაღამ წიგნი ეჭირა ხელში, მოგვიანებით რუსთავში ჩამოსული ცნობილი ქართველი მწერლის, რუსთვის ლიტერატურული გაერთიანების თავმჯდომარის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, აწ გარდაცვლილი **კარპე მუმლაძის** ოჯახში წლობით ყოფნისას საოჯახო ბიბლიოთეკას იყენებდა წიგნიერების ასამაღლებლად და იყო მთავარიც, ამ ოჯახში გამუდმებით თავს იყრიდნენ იმ დროის ქართველი მწერლები და პოეტები. ნელი მასწავლებელი დღემდე ამაყობს იმით, რომ უშუალოდ უნახავს **კონსტანტინე გამსახურდია**, **იოსებ ნონეშვილი**, **გოგლა ლეონიძე**, **ჯანსუღ ჩარკვიანი**, **ხუტა ბერულავა**, **კარლო კალაძე**, **გიორგი ციციშვილი**, რეჟისორი **გიორგი შენგელაია**... უამრავი მსახიობი, რეჟისორი, ქართველი მეცნიერი. იგი ყველა შეხვედრას, ღონისძიებას ესწრებოდა და ყველა ახალი წიგნის გარჩევაში ღებულობდა მონაწილეობას, იყალიბებდა კარგი მკითხველის გემოვნებას, ინტერესდებოდა ქართული მწერლობით.

...და დღემდე ახსოვს ღიმილისმომგვრელი ეპიზოდიც. **ნელი ციცვიძე**: კარპე ბიძიას სახლში სტუმრად მოსულ **იოსებ ნონეშვილს** ჩემი ხელით გაკეთებული ხაჭაპური რომ მივართვი, აღფრთოვანება ვერ დამალა, მე კი შექებისაგან გავწითლდი, მაშინ 18 წლის ვიყავი.

ასეთ გარემოცვაში მყოფს, ბუნებრივია, თავადაც გაუჩნდა შთაგონების უნარი, დაიწყო ლექსების წერა და დღემდე წერს, ოღონდ, უპრეტეზიოდ და თავისთვის, თანაც ძალიან ლამაზად და საინტერესოდ.

წელს პირველი კლასი ჰყავს ჩაბარებული ამაგდარ პედაგოგს და არცთუ მარტივი სახით. კლასში 6 არარქართულენოვანი მოსწავლეა, ვისთანაც ინდივიდუალური მუშაობა უდიდეს გულისხმიერებას მოითხოვს, მაგრამ ნელი მასწავლებელი ფერადი მარცვლებით, სხვადასხვაგვარი მიდგომებით ახერხებს იმას, რომ ექვსივე ბავშვი კლასის სხვა მოსწავლეებთან ერთად თნაბრად წარმატებული იყოს. დღეს კლასში სანიმუშო მოსწავლეები არიან **ლუკა შუკაკიძე**, **ლიზი ქართველიშვილი**, **მარიამ გოგბერაშვილი**, **ნინა ბლიაძე**, **ლუკა ბულაცოვი**, **ნინო აშიგოვი**, **ლალი ტაბატაძე**, **ნია პაპუაშვილი**, **მარიამ შინჯიაშვილი**, **ხათუნა ბარამაშვილი** და სხვები, რომლებიც ნელი მასწავლებელს გულს უხარებენ ბეჯითი სწავლით და მიზნობრივი უნარ-ჩვევებით.

ნელი ციცვიძე აღსაზრდელებთან

ზოგადად, ქართულ სკოლაზე მოფიქრალს, მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი საჯარო სკოლებში მოსწავლეთა წიგნიერებისთვის, მათი აქტივობისათვის, პედაგოგთა მატერიალური კეთილდღეობისათვის, სოციალურად დაუცველი პედაგოგების და მოსწავლეების პრობლემების დადებითად გადაჭრისათვის, თითოეულ მოსწავლეში ქართული ცნობიერების ამაღლებისათვის, ქართული ღირებულებების გადარჩენისათვის.

...საამისოდ, ჩვენი ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საშობაო ეპისტოლეც კმარა, რომელშიც მოწოდებაა, რომ მოზარდებსა და მოზრდილებში სიყვარულის უნარმა უნდა იმძლავროს, რომ ერი – უსიყვარულოდ, ვერ გადარჩება. ეს გრძნობა ყოველდღიურ საქმიანობაში, ყველა ბავშვთან ურთიერთობაში უნდა ამკობდეს პედაგოგს, უსიყვარულოდ, პედაგოგი, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია.

მოჩვენებითი სიყვარულიც არ მესმის, რა არის.

ბავშვს ვერაფერს გამოაპარებ.

მან უნდა გიგრძნოს და დაგიჯეროს ეს სიყვარული, – ამბობს ნელი მასწავლებელი.

დედის პროფესიულ გზას გაჰყვა **ლალი ლაბაძეც**, ისიც 23-ე სკოლაში მუშაობს რუსული ენის პედაგოგად. ვაჟი, **ლაშა ლაბაძე** წარმოებაში მუშაობს და სხვადასხვა ქვეყნებში დაფრინავს ხშირად ავიარეისებით. ორივემ კარგად იცის, რა სერიოზული და აღმატებული პროფესიისაა დედა და აფასებენ მის ღვაწლს.

მოკლე საგაზეთო წერილში, ბუნებრივია, მხოლოდ შტრიხები ავსახეთ, მასზე და მის პოეტურ შემოქმედებაზე შეიძლებოდა ბევრი რამ დაწერილიყო.

შობა-ახალ წელს ვულოცავთ ნელი მასწავლებელსა და მის აღსაზრდელებს, სიკეთე და სიყვარული დაჰბედებოდეთ მრავალჟამს.

ლია მარტაშვილი

„აქედან ვხედავ ნაკადების მე დაბადებას“... *ა. ს. პუშკინი*

მოსწავლის შემოქმედება

მარიამ კეშელავა **რუსთავის მე-11 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეა. იგი პატარაობიდანვე წერს ლექსებს სამშობლოზე, სასახელო წინაპრებზე, თავის თანატოლებსა და ნაწარმოებების საყვარელ გმირებზე.**

იგი ხშირად იღებს მონაწილეობას სასკოლო ღონისძიებებში და თავისი პოეტური შემოქმედებით ალამაზებს მას. მისი პოეტური შემოქმედების გულშემატკივრები პედაგოგი ლია ჯიოშვილი და ბეგია ნუკრი არიან.

გთავაზობთ ჭაშნიკად მის რამოდენიმე ლექსს.

რატომ...

მწვანედ მოჩანან მინდორნი, ველნი
და მე მივდივარ ქუჩაში მარტო.
სულ ერთი კითხვა ტრიალებს თავში
„რატომ და რატომ, რატომ და რატომ?“
რატომ არის რომ ჩემს საქართველოს
სუყველა გლეჯავს, წიწკნის და აქრობს,
მივდივარ გზაზე და ამას ვფიქრობ,
მაწვიმს და მათოვს, მაწვიმს და მათოვს.
რად დავიჯერო, რომ საქართველო,
სხვისია, სხვისი, დავას ვერ ვაქრობთ,
თათარი, თურქი, არაბი, რუსი
გლეჯავს და წეწავს, წიწკნის და აქრობს.
გაფანტულია მთელი ქვეყანა,
სადღაც პატრიოტს ქუჩაში ათოვს,
რა ეშველება ამ საქართველოს,
რა ეშველება, ჩემს ძირძველ მამულს?

სევდა...

ღამე არის... შუაღამე
მიკაკუნებს გულზე სევდა...
ვცდილობ, კარი არ გავუღო,

მაგრამ მაინც მოდის სევდა.
მოვა ისევ და დამიწყებს,
შიშველ სულზე მუშტის ბრაგუნს,
შემომიმტვრევს ბოლოს კარებს
და დაიწყებს ფეხის ბაკუნს.

იპოვნ

მე შენს თვალებში ვხედავ სამოთხეს,
შენი თვალები წყალობას გვანან,
რასაც ვერ ვიტყვი, ამ ლექსში დავწერ,
და ისევ შენზე ფიქრებში წავალ.
შენი წიგნებით სამოთხეს ვხედავ
თითქოს ღრუბლებში კაეშანს ჩავფლავ,
და მერე ისევ დავიწებ ღიმილს
შენზე ვილოცებ ტოლებთან ერთად.

დიდება უფალს!

ფარნავაზ მეფევ,
მითხარი ერთი,
რამ შთაგაგონა ანბანის წერა?
მინდა იცოდე, მეამაყები,
რადგან განავრცე ქართული ენა.
„შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა“.
მადლობელი ვარ შენი მარჯვენის,
მეფე ფარნავაზ, პირველო მეფევ,
გადღეგრძელებდეს ერი ქართველი.

მარიამ კეშელავა

***P. S.** გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია მიესალმება ნორჩი, იმედისმომცემი შემოქმედის გამოჩენას ჩვენს ფურცელზე. ამ შობა-ახალი წლის მადლით დიდ პოეტად გაზრდა დაბედებოდეს!*

მაღალკვალიფიციური მუსიკალური კადრების აღზრდის კერა

სულს გვიფაქიზებს და ცხოვრებას გვილამაზებს

ახალ წლის წინა დღეებში **დავით ანდღულაძის** სახელობის ხელოვნების მე-14 სკოლას ვესტუმრეთ. დედაქალაქის ამ სახელოვანმა სკოლამ ნახევარ საუკუნოვანი იუბილე უკან მოიტოვა. დაარსებისას მუსიკალური სასწავლებელი ერქვა და მისი პირველი ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი **თენგიზ მეძმარიაშვილი**, ხოლო მოადგილე – აწ განსვენებული ქალბატონი **ნანული დრეიძე**.

1974 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ დედაქალაქის მასშტაბით ჩაატარა სამუსიკო სკოლების ორკესტრებისა და გაერთიანებული სიმღერის გუნდების დათვალიერება-კონკურსი. ამ სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა და სიმებიანმა ორკესტრმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, აწ განსვენებული **სერგეი ტერ-არაქელოვის** დირექტორობით I ადგილი დაიკავა.

მას შემდეგ სკოლის ორკესტრი აქტიურად მონაწილეობდა კულტურის სამინისტროსა და სამმართველოს მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. ამ ღონისძიებებში სკოლის დირექტორი ბატონი **თენგიზ მეძმარიაშვილი** აქტიურად მონაწილეობდა.

ხელოვნების მე-14 სკოლის მოსწავლეები მეგობრულ კონცერტებს მართავდნენ, როგორც საქართველოს ქალაქებში, ასევე მოსკოვში, კიევსა და ერევანში.

1984 წელს, სკოლას მიენიჭა დიდი ქართველი მომღერლის – **დავით ანდღულაძის** სახელი.

დავითის ვაჟის, გამოჩენილი მომღერლის – **ნოდარ ანდღულაძის** შემოქმედებითი თანამშრომლობა, მისი კლასის სტუდენტებისა და ჩვენი მოსწავლეების ერთობლივი კონცერტები უდიდესი სიხარული იყო.

1997 წლიდან მე-14 სკოლას სათავეში ჩაუდგა თენგიზის ქალიშვილი, პროფესიონალი მუსიკოსორგანიზატორი **ნანა მეძმარიაშვილი**. მის გვერდით ნაყოფიერად მუშაობდნენ სასწავლო ნაწილის გამგეები: **მზია დოლიძე**, **ნანული ცხვედიანი**, **ნინო ჭავჭანიძე**.

2013 წლიდან კი დირექტორის მოადგილედ მუშაობს კვალიფიცირებული მუსიკოსი და ორგანიზატორი **ზეინაბ ზამბახიძე**.

ხელოვნების სკოლის მიზანია: მოსწავლეების მიერ სახელოვნებო საგამანათლებლო პროგრამების ათვისება, ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება და მოსწავლეების მომზადება სწავლის გასაგრძელებლად შესაბამისი სახელოვნებო პროფესიული და აკადემიური განათლების მიღების მიზნით.

სკოლაში სწავლა სამსაფეხურიანია (6, 9 და 11 წელი), კურსდამთავრებულნი ღებულობენ მერიის მიერ გაცემულ სათანადო მოწმობას.

სკოლაში ფუნქციონირებს **საფორტეპიანო**, **სიმღერის**, **სიმებიანი, ქართულ ხალხურ საკრავთა** და **სახვითი ხელოვნების განყოფილებები**.

საფორტეპიანო განყოფილებას ხელმძღვანელობს პედაგოგი **ლია ალადაშვილი**, სიმებიან და ქართულ ხალხურ საკრავთა განყოფილებებს – **კოტე ტერ-არაქელოვი**, სიმღერის განყოფილებას – **ზეინაბ ზამბახიძე**, თეორიულ განყოფილებას – **ლამარა გლოველი-გუგუშვილი**. იგი ღვაწლმოსილია, 45 წელია ასწავლის ამ სკოლაში.

ამ განყოფილებების პედაგოგები აკვალიანებენ ნიჭიერ მოსწავლეებს, აქტიურად აბამენ მათ მერიის ინიციატივით ჩატარებულ ფესტივალებსა და კონკურსებში.

გასულ წელს, მერიის დათვალიერება-ფესტივალში გამარჯვებული მოსწავლეები არიან: **ანა ოქროპირიძე** (ვიოლინო) – პედაგოგი **ლილი ანთაძე** – I ადგილი; **ელენე ხუროძე** და **ნუცა ბოხუა** (ფორტეპიანო, დუეტი) – პედაგოგი **რუსუდან ალადაშვილი** – I ადგილი; **საბა გელაძე** (ფორტეპიანო) – პედაგოგი **ციალა თომაშვილი** – III ადგილი; **ანა დოლაკიძე** (ფორტეპიანო) – პედაგოგი **ციალა თომაშვილი** – ნომინაცია „პერსპექტიული მუსიკოსი“; **ლიზი იმედაშვილი** (სიმღერა) – პედაგოგი **მაკა ქველაძე** და **ანა ოქროპირიძე** (ვიოლინო) – პედაგოგი **ლილი ანთაძე**, ნომინაცია „ჟიურის სიმპათია“ (ანსამბლი).

სკოლის პრესტიჟს ამაღლებენ რესპუბლიკური კონკურსის **„მომავლის ვარსკვლავების“** გამარჯვებულები: **მარიამ წიწილაშვილი** და **სანდრო ხელაძე** (საფორტეპიანო ანსამბლი), პედაგოგი **რუსუდან ალადაშვილი**. ლაურეატები; **მანანა კობახიძე** (ფორტეპიანო) – პედაგოგი **ხათუნა გვეტაძე**, **ნუცა გრძელიშვილი** (ფორტეპიანო) – პედაგოგი **ციალა თომაშვილი** – დიპლომანტი; **ანა დოლიძე** (ფორტეპიანო) – პედაგოგი **ციალა თომაშვილი** – ლაურეატი; **საბა წიგნაძე** (ფორტეპიანო) – პედაგოგი **ციალა თომაშვილი** – ლაურეატი; **ლიკა ქაჯაია** (სიმღერა) – პედაგოგი **ბაია გრიგოლია** – ნოდარ ანდღულაძის სახელობის I კონკურსის დიპლომანტი; **ქეთი გოსტამაშვილი** (ვიოლინო) – პედაგოგი **ომარ გვეტაძე** – კლასიკური მუსიკის კონკურსის **„გზა ხელოვნებისაკენ“** – სიგელი.

2014 წელს აღნიშნეს სკოლის 50 წლის და მისი დამაარსებლის **თენგიზ მეძმარიაშვილის** – 85 წლის იუბილე.

შარშან ჩაატარეს საახალწლო და საშობაო კონცერტები, საშობაო ტყის ზღაპარი **„სამი გოჭი“** (ხელმძღვანელი, პედაგოგი – **ლამარა გლოველი-გუგუშვილი**), სახვითი განყოფილების გამოფენა, ჩაიკოვსკის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, დედის დღისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო კონცერტი, პირველკლასელთა, ბიჭუნათა და ანსამბლების კონცერტები, სიმღერის და სიმებიანი განყოფილებების კონცერტები, ბახის 330 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექცია-კონცერტი (ხელმძღვანელი, პედაგოგი **ლელი მეგრელიძე**), **„გენიოსი მაესტროების ბავშვობის წლები“** (ხელმძღვანელი, პედაგოგი **ნანა ჩხიკვიშვილი**), პედაგოგ **ციალა თომაშვილის** კლასის მოსწავლეთა კონცერტი, მომღერალ **გოგი დოლიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი (ხელმძღვანელი, პედაგოგი **ნანა ჯაში**), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღია აკადემიური კონცერტი, სკოლის მოსწავლეთა კონცერტი სიმფონიური ორკესტრის თანხლებით (დირექტორი – **გ. შილაკაძე**), საჩვენებელი კონცერტი.

მეტად საინტერესო იყო დავით ანდღულაძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი (ხელმძღვანელი, პედაგოგი **ლამარა გლოველი-გუგუშვილი**), სადაც სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგ **ბაია გრიგოლიასთან** ერთად, ცნობილი მომღერალი და კონსერვატორიის პროფესორი – **თემურ გუგუშვილი** (ნოდარ ანდღულაძის კლასი) და მისი სტუდენტები მონაწილეობდნენ. ამ საღამოზე **თენგიზ მეძმარიაშვილის** (დავით ანდღულაძის კლასი) და მისი ქალიშვილის **ნანა მეძმარიაშვილის** დუეტმა შეასრულა პოპულარული ქართული რომანსი **„ისევ შენ და ისევ შენ“**. სკოლაში ემზადებიან: მოცარტის 260 წლისთავისადმი, ზაქარია ფალიაშვილის 145 წლისთავისადმი და ანდრია ბალანჩივაძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩასატარებლად.

სკოლას პედაგოგებად დაუბრუნდნენ კურსდამთავრებულნი: **გულიკო აბუაშვილი**, **ნანა ამბოკაძე-ჯაში**, **ელენე მხეიძე**, **ლია მენოგნიშვილი**, **რუსუდან ალადაშვილი**, **ნინო ბილიხოძე**, **ლია ხარშილაძე**, **ეკა ქუთათელაძე**, **თამარ შელია** და **ნინო დუდაშვილი**.

დამსახურებული პედაგოგი, სოლფეჯიოს სახელმძღვანელოების ავტორი **თინა მესხიშვილი** დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

ხელოვნების ამ დიდებულ ტაძარში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ გამოჩენილი მომღერლები – **ინგა ბერაძე**, **მერაბ სეფაშვილი**, **ნატო მეტონიძე**, **გიგი დედალამაზიშვილი**, **მაკა ზამბახიძე**, პიანისტი – **პაატა ანდრიაძე**.

ამჟამად კონსერვატორიაში სწავლობს წარჩინებული სტუდენტი – პიანისტი **თამთა მაღრაძე** (პედაგოგ – **რუსუდან ალადაშვილის** აღზრდილი).

გვჯერა, ახალი, 2016 წელი მე-14 სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს დიდ გამარჯვებას და ზღვა სიხარულს მოუტანს.

რომან მოსეშვილი

კათედრა – კეთილი კოორდინატორი

ასე ვაღნევთ წარმატებებს

დაწყებითი განათლება და დედაენა ბურჯია ეროვნებისა. ეს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების ქვაკუთხედია. მასზე შენობს ყველა საგნის წარმატებული სწავლება. ამდენად, ეს ბურჯი მტკიცე უნდა იყოს. ყველამ ზეპირად ვიცით ჭალადიდელის სტრიქონები: **„თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“**. ჰოდა, ამ საძირკველის განმტკიცების, საგნის სწავლებაში მაღალი შედეგებისთვის ორიენტირებულნი არიან თბილისის 207-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები. მათ მხარში აქტიურად უდგათ სკოლის დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე** და მისი მოადგილე **ლია ჯანიაშვილი**.

მოკლედ მოგითხრობთ დაწყებითი კლასების კათედრის საქმიანობაზე.

* * *

დაწყებითი სწავლების საფეხურის კლასების კათედრის დანიშნულებაა, ეფექტური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის გზით, გამოუმუშავოს მოზარდს კვლევის, გარემოს შესწავლის, დაცვისა და შენარჩუნების უნარ-ჩვევები, განუვითაროს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

ჩვენი კათედრა შედგება 14 წევრისგან. ისინი, რომლებიც I სემესტრის განმავლობაში მიზნის მისაღწევად მუხლჩაუხრელად შრომობდნენ: **ი. აზმაიფარაშვილმა** მუსიკის პედაგოგ **მანანა კიკაჩეიშვილთან** ერთად დადგეს ზღაპარი-მიუზიკლი **„სტუმრად ტყეში“**. **ნ. მძელურმა** ჩაატარა საჩვენებელი გაკვეთილი **„აი ია“**. **მ. კასრაძემ**, – **„ამას ჩვენი დალოცვილი შემოდგომა ჰქვია“**, **ნინო ნიქაბაძემ** – **„საახალწლო კარნავალი“**. მეტად საინტერესო იყო **მარინე ხელაშვილის** შეხვედრა პოეტთან – ღონისძიება – **„ტყის ამბები“**, **ვასილ გულეურის** ლექსების მიხედვით. **თ. ბუჯირიშვილმა** წარმოადგინა – **„ოჰ, რამდენი ფიფქია“**, **მარეხ როსტიაშვილმა** მონაწილეობა მიიღო **„ითვინინგში“**.

ეფექტიანი იყო **ი. გულიაშვილის** – ღია გაკვეთილი **„ჯიპრაიდის“** აქტივობების გამოყენებით, მომხიბლავი იყო **ქ. წიკლაურის** – **„საახალწლო ღონისძიება“**, ქებას იმსახურებს **ლ. სულხანიშვილის** ღონისძიება – **„შობა გათენებულაო“** – საახალწლო ტრადიციები (ითვინინგის პროექტის ფარგლებში). დაუვიწყარია **ა. კოროშინაძის** პროექტი **„დაუვიწყარი ვაჟა-ფშაველა“**.

ნ. გოგოლიშვილის – ღია გაკვეთილი **„გზა ბატონებო, მობრძანდება გალაკტიონი“**. მაღალი შეფასება დაიმსახურა **მარინე ფირანიშვილმა** და ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა „ითვინინგის“ საერთაშორისო პორტალი – **„ბუნების საოცრებანი“**.

ცეროდენებმა დიდი შთაბეჭდილება მიიღეს **ნ. გურულის** – პროექტის – **„ზამთარია, ზამთარის“** წარმოდგენით.

დაწყებითი კლასების კათედრის პედაგოგები დასახული მიზნების გადასაჭრელად მთელ თავის ცოდნას, შესაძლებლობებს, ძალისხმევასა და სიყვარულს დებენ სკოლის აღსაზრდელებთან შრომატევად, საპასუხისმგებლო მუშაობაში.

ნინო ნიქაბაძე,
დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელი

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

დირექტორი
ლალი ოთარაშვილი

ასე რატომ მოუხარიათ 202-ე ბაგა-ბაღში?

თქვენზე ვზრუნავთ, პატარებო, დილა მშვიდობისა!

ხუთი წლის წინათ ვიყავი ცუგრუმელების ამ ზღაპრულ სამყაროში. დღეს ვხედავ ხუთჯერ უფრო დამშვენებულა იგი. „გარეთ ცივა და ქრის

ცივი ქარი, თოვლი არა ჩანს, არის ზამთარი“. ფიჭვებით დაბურულ ეზოში მოუწყენიათ: კარუსელებს, სასრიალოებს, „აიწონა-დაიწონას“, „აჩუ-აჩუ“, ცხენოს!“ მზესუმზირა-გვირილებს, ცეროდენებს ხალისიან ჟივილ-ხივილით ბრწყინვალე სამუსიკო დარბაზში გადაუნაცვლებიათ. აქ საახალწლო ნაძვის ხე კოხტად მორთული ბრჭყვიალებს. აქ საზეიმო ხმები ისმის, გული ლხენით აივსო. აქ „**მაღლით ციდან ფიფქი ცვივა, გვირილების ხელაო**“. ასაკობრივი ჯგუფები: „**გვირილა**“, „**პეპელა**“, „**ჭია-მაია**“, „**მერცხალი**“, „**ბომბორა**“, „**ცეროდენა**“... ერთმანეთს ტოლს არ

უდებენ ცეკვა-სიმღერებში, დეკლამაციაში, ტყის ზღაპრების პერსონაჟთა გასცენიურებგაცოცხლებაში. ყველა ჯგუფმა ორიგინალური პროგრამით მოხიბლა და საახალწლო განწყობა გაუმძაფრა სტუმრებს, მშობლებს, აღმზრდელებს. ყოველ გამოსვლას ფონად გასდევდა ხალისიანი მუსიკალური რეფრენი: „**ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან, გამოდი, გამოდი, ახალი წელია!**“ პაწიებმა პირი ჩაიტკბარუნეს თოვლის ბაბუას საახალწლო ნობათით.

როგორც ყოველთვის, დღესაც დაუვიწყარ ზეიმს, მთელი ბაგა-ბაღის ცხოვრების გამლამაზებლები, ცეროდენების სულის გამფაქიზებლები, ხელოვნების სიყვარულის შთამნერგავნი და მათი ნიჭის დამკვალიანებლები, აღმზრდელებთან და მათ თანაშემწეებთან ერთად უძღვებოდნენ პროფესიონალები – მუსიკის ჩინებული მასწავლებელი **ნატო შულაია** და ცეკვის პედაგოგი **ეკა ერქომაიშვილი**. მაყურებლები მოიხიბლნენ მათი აღსაზრდელების ნიჭიერებით. ყველა ასეთი ესთეტიკური ღონისძიების, ზეიმის (შემოდგომის, დედის დღის, გამოშვების) თუ კარნავალის სულისჩამდგმელ-ორგანიზატორები ხომ ეს პოპულარული პედაგოგები არიან. როგორც გავიგე, **ეკა ერქომაიშვილი** ამ სიტყვების

ავტორივით აფხაზეთიდან დევნილი ყოფილა.

მოდით, მკითხველნო, ზემოთქმული სტატიის უვერტიურად ჩავთვალოთ და უფრო ახლოს გავეცნოთ 202-ე ბაგა-ბაღელთა ცხოვრებას.

202-ე ბაგა-ბაღი მეტრომშენის დასახლების მშვენება, საჯარო სკოლასთან ერთად ნორჩი თაობის, მოსწავლეახალგაზრდობის ცოდნისა და კულტურის კერაა: შეხვალთ და „ეს თვალები რას ნახავენ სხვა უკეთეს სანახავსა“. მოგხიბლავთ მისი იერ-სახე. ზემოთ გაკვრით ვთქვით მის ეზო-კარზე. ახლა ზამთარია, თორემ... აბა ნახეთ გაზაფხულზე, მზიან დღეებში რა ხალისიანი ჟივილ-ხივილი მოეფინება არემარეს. ასაკოვანიც აღტაცებული წამოიძახებს: „**სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება!**“

შიგნით შეხვალთ და კიდევ უკეთესი: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ აი, სოფლის იდილია – ურემზე დადებული ქვევრი. დერეფნები დასახლებულია ზღაპრებიდან გადმოსული პერსონაჟებით. აი, ნორჩების ფანტაზიის ნაყოფი: ნახატები, ნაძერწები, აპლიკაცია... სტენდები, სტენდები – ნაირ-ნაირ-ფერად-ფერადი. აი, მშობელთა კუთხე – გამჭვირვალობით და სრული ინფორმაციით. აი, მრავალფეროვანი მენიუ.

ინფრასტრუქტურაზე, რომელიც აგრე მოწესრიგებულია ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, ბევრს არაფერს ვიტყვით. ,მხოლოდ, მოკლედ იმის შესახებ, რომ პატარების ბედნიერი ბავშვობისთვის აქ ყველა პირობაა. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ მშობლები ძალზე კმაყოფილი არიან. ბავშვებს აქეთკენ მოუხარიათ და როგორც საკუთარ სახლს, ვერ ელევიან. პოპულარულია 202-ე ბაგა-ბაღი, მოდაშია იგი. ახლოს სხვა ბაგა-ბაღებიც არიან, მაგრამ „სხვაგან არ გვინდა, იქ წაგვიყვანეო“, – იხვეწებიან. უფრო მეტიც, ბევრი ოჯახი საცხოვრებლად შორს, სხვა უბანში გადავიდა, მაგრამ მათ პაწიები მაინც აქ მოჰყავთ.

დირექტორს რამდენიმე წუთით შეაგვიანდა – ბაღის საქმეზე იყო წასული. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სულსა და გულს, მთავარ ორგანიზატორს, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს (ადრე მეთოდისტი ერქვა) **ქეთევან ფერაძეს** გავესაუბრეთ. ქალბატონი ქეთევანი ღვაწლმოსილი პედაგოგია, ორ ათეულ წელზე მეტია აქ შემოქმედებითი წვით მუშაობს.

– წელს ბევრი სიახლე შემოვიდა და ინერგება, – აღნიშნა

მეთოდისტმა, – უფრო პრიორიტეტული გახდა ბავშვის სასკოლოდ მომზადება, ე. ი. სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების აღზრდა-ჩამოყალიბება. ვხელმძღვანელობთ და აქტიურად ვმუშაობთ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული „სასკოლო მზაობის პროგრამით“.

ეს პროგრამა სტენდზე თვალსაჩინო ადგილასაა მოთავსებული. მისი რეკომენდაციების ხორცშესასხმელად ტრენინგები დიდი ხანია ჩაუტარა მეთოდისტმა აღმზრდელებს, პედაგოგებს.

ამ საუბარში თავად დირექტორი შემოგვიერთდა.

ლალი ოთარაშვილი საგანმანათლებლო სივრცეში მეტად ცნობადი, გარმოჩეული სახეა. მის ცხოვრებას მეტად

ლამაზი ბიოგრაფია ამშვენებს. პირველ რიგში, ბავშვებზე და თავის საქმეზე ზომაზე მეტად შეყვარებულია. თავად განსაჯეთ, თბილისის მე-80 სკოლისა და მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილი, აგერ უკვე 34-ე წელია სკოლამდელი აღზრდის სისტემაში შემოქმედებითად იღვწის და აქედან „არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი“. მოღვაწეობდა 113-ე, 46-ე, 164-ე ბაგა-ბაღებში, ხოლო 29-ე წელია სახელოვან (მის ხელში იქცა ასეთად) 202-ე ბაგა-ბაღს განაგებს. ჩემი სურვილია, თავის დროზე მისი 30 წლის დირექტორობის იუბილე გავაშუქო.

პიროვნული თვისებებით ლამაზი სულის პატრონია ქალბატონი ლალი, თანამშრომლებთან სამეგობრო, ბრწინვალე ოჯახის დედა, ვაჟას სიტყვებით „ლამაზად შვილთა აღმზრდელი“ და ძვირფასი მეუღლე. სიყვარულით შექმნილი ოჯახი ხომ ბედნიერებაა და ასეთი ოჯახის დიასახლისია **ლალი ოთარაშვილი**.

ბაგა-ბაღი წლიდან წლამდე ძლიერდება და მშვენდება. იგი ყოველთვის ითვალისწინებდა და აკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის სურვილ-მოთხოვნებს. ამიტომაც იყო და არის პოპულარული. ეს ორი წელია განსაკუთრებულ განახლებას განიცდის, დირექტორის და მთელი კოლექტივის მონდომება-ძალისხმევით, ე. ი. „ეძიებდე და ჰპოვებდეო“, – ამ პრინციპით შარშან ორი ახალი ასაკობრივი ჯგუფი გაიხსნა. მიმდინარე სასწავლო წელს, ივლის-აგვისტოში შესრულდა შრომატევადი სარემონტო სამუშაოები. კოსმეტიკურ რემონტს ეზოს კეთილმოწყობაც მიემატა და მისი იერსახე უფრო გაკეთილშობილდა. შეივსო სასწავლო-თვალსაჩინოებით, სათამაშო-სპორტული ატრიბუტებით. იმდენი სათა-

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

მაშო აქვთ – იმდენი, რომ აქ ყველგან თოჯინები იცინიან. წყალში ჩავარდნილს ღმერთმა უთხრა: ხელი გაანძრიე და გიშველიო. დირექტორმა კარგად იცის შეგონების ფასი და... ვინც მხარში ამოუდგება, მისი დიდად მადლიერია.

– ძალიან მეხმარება ქალაქის მერია. მისი დაფინანსებით და ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის ბატონ **თემურ თორდინავას** აქტიური მხარდაჭერით გაკეთდა ყველა ზემოჩამოთვლილი საქმე. მთელი კოლექტივის და მშობლების სახელით ამ დახმარებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ მერიის ხელმძღვანელ მუშაკებს, – გულწრფელად განაცხადა დირექტორმა.

ლალი ოთარაშვილი ძალიან უყვართ თანამშრომლებს. რატომ იცით? იმიტომ რომ, შემოქმედი ხელმძღვანელია, მეგობრულია, ჭირსა და ლხინში თანამდგომია, სამართლიანია, შრომის დამფასებელია. ამიტომაა, რომ ასე შეხმატკბილებულად იღვწიან. ასე იჭედება ავტორიტეტი.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში დიდი წვლილი შეაქვს გამოცდილ, შრომისმოყვარე მოადგილეს **ლილი ბაბლუანს**.

მეთოდისტი **ქეთევან ფერაძე** ჩემგან მეტ შეფასებას იმსახურებს, მაგრამ ვაპირებ მასზე სხვა დროს ცალკე სტატია მოვამზადო.

განსაკუთრებული პატივისცემა მინდა გამოვხატო დამსახურებული, აქ დიდხანს ნაღვაწეი მუშაკების მიმართ. პირველ რიგში, ასეთი გახლავთ ბაგა-ბაღის მარჯვენა ხელი, გამოცდილი მნე **მაკა სანაია**. როგორ შეიძლება მადლობის სიტყვებით და ქებით არ მოვიხსენიოთ გამოცდილი საქმეთამმართველი **ზოია გივიშვილი**.

ყველას, ყველას მოუძღვის თავისი კუთხით განსაკუთრებული წვლილი ბავშვების აღზრდაში, ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში.

მშობლებს აქ ეგულებათ სანდო, გამოცდილი, პროფესიონალი ექთანი **თამარ დალაქიშვილი** და მისი იმედი აქვთ. ხუმრობენ კიდეც, მისი შიშით ვერცერთი ინფექცია ახლო მიკარებას ვერ გაბედავსო.

მაგრამ, რაც გინდა ვთქვათ და ვინც გინდა ვახსენოთ, მაინც საქმის თავიდათავი, ყველა წარმატების შემოქმედი და გარანტი გახლავთ მისი აღმატებულება პედაგოგ-აღმზრდელები და მათი თანაშემწეები. მარჯვენა დაგელოცოთ მეგობრებო! თქვენი ღვაწლია, რომ ამდენი ნიჭიერი, პერსპექტიული, დიდი მომავლის ქართველი და ხვალინდელი პატრონი მამულისა ფრთიანდება თქვენს კალთებში. თქვენი დედობრივი ალერსისა და ზრუნვის გამოა, რომ აქეთკენ ასე მოუხარიათ თვალხატულა გოგო-ბიჭებს. მინდოდა ზოგიერთი თქვენი აღზრდილი, მეტად ნიჭიერი, გულში ჩასახუტებელი ცუგრუმელა დამესახელებინა, მაგრამ უმალ გადავიფიქრე: აქ ხომ ყველა ნიჭიერია? აქ ხომ ყველა ლამაზია?

დიდებული ტრადიცია დამკვიდრდა ბაგა-ბაღში ამაგდართა დაფასება პატივისცემისა. აქ დამსახურებულნი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უშურველად გადასცემენ ახალგაზრდა კოლეგებს. დიახაც, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ ღვაწლმოსილი აღმზრდელები და მათი თანაშემწეები: **ცისანა დაუთაშვილი**, **ჟუჟუნა ვარდოსანიძე**, **მარინე ორველაშვილი**, **მანანა ლებანიძე**, **ნინო გელდიაშვილი**, **სვეტლანა არუთინიანი**, **ნანი შალვაშვილი**. მათ მხარს უმშვენებენ ღირსეული კოლეგები: **ნინო ნავროზაშვილი**, **რეგინა კაზაროვა**, **ნინო ბერიძე**, **მაკა ბაქრაძე**, **ნანა რიჟამაძე**, **ნინო ფარტენაძე**, **მარი თავდიდიშვილი**, **ნანა გელენიძე**, **ნინო ჩიჩუა**, **მადლენა ბოგვერაძე**, **თამუნა ნათობაიძე**, თანაშემწეები: **ანაიდა ბალოიანცი**, **შუქია არღვლიანი**, **თამარ ლომიძე**, **მაია ნასყიდაშვილი**, **ლილი გრძელიძე**, **ლეილა სიხუაშვილი**, **რუსუდან გრძელიძე**, **თინა გიორგაშვილი**, **ნანა კოშაძე**.

აქ „წარსულისადმი გრძნობა-პატივი“ უმაღლეს რანგშია აყვანილი. მუდამ გულთბილად ახსენებენ ხოლმე ამაგდარ წინამორბედ დირექტორს **ქეთევან გურგენიძეს**.

– დიახ, ასეა. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მათი ამაგი, ვის მხრებზეც ვდგავართ, – დაგვიდასტურა **ლალი ოთარაშვილმა**.

მშობლებთან ვსაუბრობდით და ამ დროს სამზარეულოდან არომატული, მადისაღმძვრელი სურნელება შემოიჭრა. – პატარების კვებით კმაყოფილი ხართ? – შევეკითხე და ერთბაშად თავი დამიქნიეს. ერთმა მშობელმა კი ცერათითი ასწია და ლექსად მოგვიგო: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“. მართლაც, წელს სიახლე შემოვიდა: ბავშვთა კევბის მენიუ და ასორტიმენტი უფრო მრავალფეროვანი და კალორიული გახდა.

ცეროდენებისთვის ყველაზე „პოპულარულ“ ადამიანებს წარმოგიდგენთ, რომელთა დამზადებული კერძები მათ დედისგან შინგაკეთებულს ურჩევნიათ.

ცუგრუმელებს ძალიან, ძალიან უყვართ დამსახურებული მზარეულის **ჯულიეტა მამალაძისა** და მისი დამხმარე **ნათია ოთარაშვილის** ხელით მომზადებულ-შეკაზმული საჭმელები. დირექტორმა უმაღლესი შეფასება მისცა ამ მზარეულების უზადო შემოქმედებას.

ლალი ოთარაშვილს ბაგა-ბაღის კეთილდღეობისთვის მზურნველი არცერთი მუშაკი არ დავიწყება. ქებით და მადლობის სიტყვებით მოიხსენია ისინი, ვინც ყოველდღიურად უფრთხილდებიან ბავშვთა ამ სამყაროს პრესტიჟს, უვლიან, ესთეტიკურ ხიბლს მატებენ.

როგორ შეიძლება არ დავაფასოთ დამლაგებლების **რუსუდან ჯიმშელიძის**, **მზევინარ გვილიას**, **ეთერ დვალიშვილის**, **ეკატერინე გოგინაშვილის**, **ლამარა დათუნაშვილის**, **თამარ მოსიძის** გარჯა, მუშების – **ქეთევან ჩინჩალაძისა** და **დემურ კუპატაძის** შრომისმოყვარეობა, დაცვის მუშაკების – **ხათუნა სამადაშვილისა** და **ლაშა ჯანიკაშვილის** სიფხიზლე-პასუხისმგებლობა.

– ასე რომ მოგეწონათ ბაღის სიტურფე-სიკოხტავე, მებაღე **ნელი ლიპარტელიანის** დამსახურებაა, – მითხრეს ბაგა-ბაღელებმა. ეს მწვანეში ჩაფლული ბაღნარი მუდამ იყო პაპანაქება ზაფხულში ქალაქიდან გაუსვლელი ცეროდენების აგარაკ-სავანე. ტრადიცია გრძელდება.

შარშან სასკოლოდ კარგად მომზადებული დაახლოებით 80 ცუგრუმელა ზეიმით გააცილეს მეტრომშენის დასახლების ახლომდებარე სკოლებში. სამწუხაროდ, ახლომდებარე სკოლა ავარიულობის გამო, სხვა შეგუებულ შენობაში იყო მოთავსებული და დისკომფორტს განიცდიდა. ახალი წლისგან ბევრ სიახლეს და სიხარულს მოველით და ერთ-ერთი ასეთი იქნება შემდეგი: ახლოს ახალი სკოლა შენდება და 2016 წლის სექტემბერში 202-ე ბაგა-ბაღის სამი ჯგუფდამთავრებული ამ ახალ სკოლაში წავა.

დამშვიდობებისას, მინდა მივმართოთ **მუხრან მაჭავარიანის** სიტყვებით: **„კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი, კიდევ ერთხელ აამღერო; გევალება, ჩემო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველოვ!“**

შობა-ახალ წელს ხალისსიხარულის მომგვრელი ჰანგების თანხლებით მოგილოცავთ: **„ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან, გამოდი, გამოდი, ახალი წელია!“**

ბედნიერება დაგებედოთ, 202-ე ბაგა-ბაღელებო!

გორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

მაკა სანაიას
ფოტო

გამარჯობათ, მე-17 ბაგა-ბაღელებო!

ჩვენი ცეროდენები საქართველოს გააბრწყინებენ

ამ ბოლო დროს თბილისის მეტრომშენის დასახლებასა და მთლიანად „ისნის“ რაიონში

ხმა გავარდა მე-17 ბაგა-ბაღში ჩატარებული კეთილმოწყობის სამუშაოებისა და ბავშვთა აღმზრდელობით საქმიანობაში მიღწეული წარმატებების შესახებ. მკვეთრად იმატა ამ ბაგა-ბაღში თავიანთი შვილების მოხვედრის

მსურველ მშობელთა რაოდენობამ. მაშინვე ვესტუმრეთ ცეროდენების ამ ზღაპრულ სამყაროს. შარშან დანიშნულ შემოქმედ დირექტორს **ლელა ბაქრაძეს** მთლიანად შეუცვლია ბაგა-ბაღის იერ-სახე. მას უკვე უბანში **„ლელა აღმაშენებელს“** ეძახიან. როგორც საკუთარ შვილებზე, ისე ზრუნავს პატარებზე. რა

თქმა უნდა, წარმატების მიღწევაში მას დიდად დაეხმარა მიღებული მრავალმხრივი განათლება, პრაქტიკული მუშაობის მდიდარი გამოცდილება და მებრძოლი ხასიათი.

ლელა ბაქრაძეს საკმაოდ მრავალმხრივი განათლება აქვს მიღებული, ოთხ წითელ დიპლომს ფლობს. 1998 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით. მინიჭებული აქვს სოციალური მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მთავარი მაინც ისაა, რომ აქვს პედაგოგიური მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

ბაგა-ბაღის ყველა ჯგუფში განახლდა და დაიგო ახალი იატაკები. ჩატარდა შიდასარემონტო სამუშაოები, შეთეთრდა და განახლდა ჯგუფები, დარბაზი და კიბის უჯრედი. ჯგუფებისათვის დამზადდა ახალი ავეჯი, მაგიდები და სკამები. ჯგუფებში მოხდა ახალი საწოლების დამზადება. სპეციალურად **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფებისათვის მოხდა ახალი სივრცეების დამონტაჟება. ახალი სახელმძღვანელოების, წიგნებისა და სათამაშოების შეძენა. გაიხსნა და ყოველმხრივ აღიჭურვა ახალი ჯგუფი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს! მშობლები გახარებული არიან. ბაღების მართვის სააგენტოს ჩართულობითა და მხარში დგომით აშენდა ახალი ფართე საწყობი, სამრეცხაო თავისი სველი წერტილებითა და აბაზანით. სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ყველა ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეძენილია სენსორული, კოგნიტური, მოტორული და კრეატიული უნარების განვითარებისათვის საჭირო სათამაშოები, სხვადასხვა ავტორების 21 დასახელების საბავშვო მოთხრობები, ლექსები და ზღაპრები.

ახალმა დირექტორმა მოკლე დროში შეძლო ერთ მუშტად შეეკრა ბაგა-ბაღის კოლექტივი

და ღირსეულად დაიმსახურა თანამშრომელთა და, აღსაზრდელთა მშობლების პატივისცემა-მადლიერება. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს, ბატონ **თემურ თორდინავას** თანადგომისთვის მადლობას უცხადებს მთელი კოლექტივი. დამატებით გაიხსნა ყოველმხრივ აღჭურვილი ახალი ჯგუფები.

კოლექტივში მშვიდობიანი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ჯანსაღი ურთიერთობები სუფევს. ყველა თანამშრომელი უნთუზიაზმით იღვწის, ერთგულად უდგას მხარში დირექტორს მოადგილე **მაია წყარუაშვილი**, გამოცდილი მეთოდისტი ქალბატონი **მანანა დადიანიძე**, საქმეთამმართველი **მაია გაგოშიძე**, ყველა აღმზრდელი და თანაშემწე, მთელი ტექნიკური პერსონალი. შემოქმედებითი წვით წარმართავს საქმიანობას მაღალპროფესიონალი მეთოდისტი **მანანა დადიანიძე**.

სასკოლო პროგრამის დანერგვას კარგად აუღეს ალღო ბაღის მოწინავე აღმზრდელებმა: **ნატო მოლაშვილმა** და **თეა ბერბიჭაშვილმა**. ისინი ბოლომდე იხარჯებიან სასკოლო მზაობის პროგრამის შესასრულებლად.

შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან მრავალი თაობის ღვაწლმოსილი აღმზრდელები: **ქეთევან ბენაშვილი** და **მაკა რუხაძე**.

დამსახურებულთ ტოლს არ უდებენ ახალგაზრდა, ენერგიული აღმზრდელები: **თამილა ქენქაძე**, **შორენა ბაჯიაშვილი**, **ნინო ჭუმბურიძე**, **ლია ბასოშვილი**, **ეკა ჯაფარიძე**, **მაია სამსონია**, **ნათია ველაშვილი**, **ნინო გვრიტიშვილი**, აღმზრდელის თანაშემწეები: **ეკა ჩიფჩიური**, **ქეთინო კალანდაძე**, **ლია ჯღარკავა**, **ლალი გაფრინდაშვილი**, **ია ჩიხრაძე**, **ე. ბაღდოშვილი**, **თინათინ კირკიტაძე**, **ირინა დოლიძე**, **ლალი ჯანიკაშვილი**.

ბავშვთა ჯანმრთელობას ერთგულად ემსახურება ექთანი **მაია გაბიცინაშვილი**. ბაღის წარმატებულ მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მნე **თამარ ტერენაშვილს**, საქმეთამმართველს **მაია გაგოშიძეს**, მზარეულებს **მარინე ბერიძიშვილს**, **დონარა ანუშიძეს** და **მაია მამნიაშვილს**, ტექნიკურ პერსონალს **მარეხ ხუბაშვილს**, **ლელა ძიძიკაშვილს**, **თამთა დევდარიანს**, **ეკა მდივანს**, **ნინო მაჭარაშვილს** და ბატონ **პეტრე ახალკაციშვილს**.

პატარებში შრომითი ჩვევების გამომუშავებისათვის ეფექტიანი მუშაობა მიმდინარეობს. პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდისათვის ბავშვებს ასწავლიან პატრიოტული სულისკვეთების ლექსებსა და მოთხრობებს, აგრეთვე ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს. სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე სასწავლო წლის დამთავრების წინ ეწყობა მხატვრული წარმოდგენები და ღონისძიებები, რომლებშიც აღსაზრდელები ამბობენ ლექსებს, ასრულებენ სიმღერებს. მათ შორის, საქართველოს ჰიმნს, ცეკვავენ, თამაშობენ სცენებს და სხვა. როგორც წესი, ამ საზეიმო წარმოდგენებს ჰყავს უამრავი მაყურებელი ბავშვების მშობლებისა და ნათესავების სახით. ეს ყველაფერი ფიქსირდება ვიდეოკასეტებზე, რომლებიც სათითაოდ ინახება ბაღის არქივში.

ბაღის მუშაობის გაუმჯობესებისა და ინტენსიურ ფაზაში ყოფნის მიზნით დირექცია კიდევ ბევრ სიახლეებს გეგმავს, ლოგოპედებისა და ფსიქოლოგების მოწვევას და მათ ჩართვას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებში. ამასთან ერთად, მოეწყობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებები. ფიქრობენ აგრეთვე

რუსული და ინგლისური სალაპარაკო ენების სწავლის შემოღებას. აპირებენ სააგენტოს წინაშე დააყენონ საკითხი აღსაზრდელების შეფასების 10 ბალიანი ქულების შემოღების შესახებ ყოფაქცევაში, ცეკვა-სიმღერაში, ფიზკულტურასა და ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებში ბაღის დამთავრების სერტიფიკატის გაცემით.

ერთი სიტყვით, მე-17 ბაგა-ბაღში შემოქმედი დირექტორის, **ლელა ბაქრაძის** ხელმძღვანელობით ხალისიანი, ლამაზი ცხოვრება ჩქეფს.

ახალ წელს, ახალ წარმატებებს და ზღვა სიხარულს გისურვებთ, მე-17 ბაგა-ბაღელებო!

რომან მოსეშვილი

თქვენ გაიხარეთ, 182-ე ბაგა-ბაღლებო!

საახალწლო ნუგბარი პატარებისთვის

დირექტორი **მარიკა გონაშვილი**

გრანდიოზული საშობაო-საახალწლო კარნავალი გაიმართა თბილისის 182-ე საბავშვო ბაგა-ბაღში. ცეროდენებმა მშვენივრად მოილხინეს და

საჩუქრებიც მიიღეს. ზეიმის ინიციატორი გახლდათ, რა თქმა უნდა, ბაღის თანამშრომლები და დირექტორი **მარიკა გონაშ-**

ვილი, მოწვეული ჰყავდათ თეატრალური ჯგუფი **„ძალა ერთობაშია''**, რომლის ხელმძღვანელია, არაერთი საქველმოქმედო ღონისძიების ავტორი **ნაირა ჯავახიშვილი**.

პატარებს, ნამდვილად საზეიმო განწყობა შეუქმნეს მოწვეულმა მსახიობებმა. ისინი ცეკვავდნენ, მღეროდნენ და მხიარულობდნენ კოხტად მორთული ნაძვის ხის ირგვლივ. თეატრალიზებული სანახაობით, ბავშვები თითქოს, ზღაპრულ სამყაროში ამოგზაურეს თოვლის „**ბაბუამ**“, „**მიკიმაუსიმ**“, „**გრინჩიმ**“, „**მასხარამ**“ და „**თოვლის დედოფალმა**“.

ღონისძიება სამ ეტაპად იყო დაყოფილი და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჩატარდა. საახალწლი საჩუქრები კი პატარებს, თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტომ შეფუთული გამოუგზავნა, რითაც ძალიან გაახარა.

აღსანიშნავია, რომ 25 დეკემბერს, ქალბატონი მარიკას ინიციატივით, საბავშვო ბაღის დიდ დარბაზში, კიდევ ერთი ღონისძიება გაიმართა, რომლიც საქველმოქმედო ხასითის იყო და პატარებმა, თავიანთი შესრულებით სხვადასხვა გასართობი ნომრები წარმოადგინეს. ბაღის თანამშრომლებისა და მშობელთა კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით კი, საახალწლო ნობათი გადაეცათ შეჭირვებული ოჯახის შვილებს.

182-ე ბაღი ვაზისუბანში მდებარეობს. ამჟამად, აქ 500 ბავშვია და სულ 12 ჯგუფია, როლებსაც სხვადასხვა სახელები ჰქვიათ. კერძოდ, **„გვირილა“**, **„ია''**, **„პერი“**, **„ბზიკები“**, **„ცეროდენა“**, **„მიმი“**, **„წითელქუდა“** და ასე შემდეგ.

მარიკა გონაშვილი, სულ რვა თვეა რაც ბაღს სათავეში უდგას და თითოეულ თანამშრომელთან ერთად, ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა პატარებმა თავი დაცულად და მშვიდად იგრძნონ.

შენობა გარემონტებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და თბილი წყალი, ყველა ჯგუფში მოწესრიგებულია სველი წერტილები. ეზოც კეთილმოწყობილია და პატარები ერთობინ სხვადასხვა სათამაშოებით და ატრაქციონებით.

ფუნქციონირებს ინკლუზიური ჯგუფი. ბაღი ჩართულია **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“**. კვება როგორც სხვა ბაღებში, აქაც უმაღლეს დონეზეა. პატარებისთვის განკუთვნილია მრავალფეროვანი საკვები და დაცულია ცხიმებისა და ცილების თანაფარდობა. ასე რომ, მშობლებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან მათი შვილები აქ საკმაოდ კალორიულ საკვებს მიირთმევენ.

ბაღში, ხშირად იმართება შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიებები. შარშან, **ბაკურ სულაკაურის** გამომცემლობამ ჩაატარა: **„ზაფხულის ყველაზე წიგნიერი მხატვრის“** კონკურსი, სადაც პატარებს საშუალება ჰქონდათ, წაკითხული ზღაპრის მიხედვით შეექმნათ ნახატები. ბავშვებმა თავი გამოიჩინეს, უფროსების მოწონება დაიმსახურეს და ამისათვის ბაღს სპეციალური სიგელიც გადაეცა.

182-ე ბაგა-ბაღის მესვეურები, მადლიერებას გამოხატავენ ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** მიმართ და მადლობას უხდიან მას თანადგომისთვის.

მზია გოგოძე

თბილისის 86-ე ბაგა-ბაღის ცერეოდენებთან

აქ ოჯახური ატმოსფერო და სიყვარულია

დირექტორი ნანა ჯანელიძე

ცეროდენების ამ ზღაპრულ სამყაროში სტუმრობისას, როგორც ხუმრობენ, ორი კურდღელი დავიჭირეთ: საახალწლო ნაძვისხესთან ცუგრუმელების მომხიბლავ ზეიმსაც დავესწარით და ახალმოსული დირექტორიც გავიცანით.

ნანა ჯანელიძე 86-ე ბაგა-ბაღს გამოცდილ ხელმძღვანელად მოევლინა. დამთავრებული აქვს თელავის I საშუალო სკოლა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

თბილისის 50-ე საჯარო სკოლაში კარგა ხანს ასწავლიდა მათემატიკას, შემდეგ სკოლამდელ აღზრდას უერთგულა, აქეთკენ გადაიხარა მისი მოღვაწეობის ვექტორი.

დიდხანს მუშაობდა თბილისის 160-ე ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილედაც.

მოვიდა აქ და მოკლე დროში, სულ ერთ თვეში უფრო გაალამაზა ამ სამყაროს იერ-სახე. კოლეგებსაც კარგად შეეჩვია ქალბატონი ნანა და მათთან ერთად ახალი მიღწევებისთვის ემზადება, ენთუზიაზმით ზრუნავს ბავშვებზე.

შრომისმოყვარე კოლექტივი გვერდით მაშინვე დაუდგა.

მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი, შემოქმედებითი წვით ანთებული მოადგილე, ჩინებული აღმზრდელი და ბავშვებისმოყვარული **ნინო ჩაფიძე**, ბაგა-ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სული და გული, ცნობილი მეთოდისტი **მაია ლაკვეხელიანი**.

მართლაც რომ, მეგობრულად შეკრული კოლექტივია.

აქ, დიდ პატივს სცემენ წინამორბედ, ღვაწლმოსილ დირექტორს **მარინე რობაქიძეს**, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი გააკეთა ბაგა-ბაღის კეთილდღეობისათვის. ყოველდღე თბილი და სამადლობელი სიტყვები ისმის მისი მისამართით.

ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურა ისეა მოწესრიგებული, ამის შესახებ ბევრს არაფერს მოგახსენებთ.

აქ ფუნქციონირებს **ინკლუზიური პროგრამა**. ასევე, მეცადინეობს სამი **სასკოლო მზაობის** ჯგუფი, რომელიც 5-6 წლის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. მათთვის სპეციალური ლიტერატურა და ინვენტარი დროულად შეიძინეს.

ბაღში ეწყობა ემოციური საბავშვო ღონისძიებები და საჩვენებელი გაკვეთილები, რომელსაც აღმზრდელებთან ერთად მეთოდისტი **მაია ლაკვეხელიანი** ეფექტიანად ატარებს. პატარებს ემსახურება შესანიშნავი ფსიქოლოგი **ნანა ჯაში**. ბავშვების ჰიგიენასა და სისუფთავეზე ბევრს ზრუნავს მედდა **მარადი ვადაჭკორია.** ასევე, უნდა აღინიშნოს საქმეთამმართველის **გულნაზ მუხიაშვილის** მონდომებული საქმიანობაც, რომელიც კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ბავშვებს ძალიან იტაცებთ მუსიკის გაკვეთილები, რომელსაც **ნინო სამადაშვილი** ენთუზიაზმით ატარებს. პატარები ძალიან ხალისობენ, ერთობიან ცეკვის დროსაც, რომელსაც მათ **ხათუნა ხოხაშვილი** დიდი მონდომებით ასწავლის.

მოგეხსენებათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პატარებისთვის მარგებელი, ყუათიანი კვება....ამ მხრივ, როგორც თბილისის ყველა ბაღში, აქაც შესანიშნავი მდგომარეობა და პირობებია. კვებაზე განსაკუთრებით ზრუნავენ მზარეულები: **ნუნუ მჭედლიშვილი** და **ანიკო ხარატიშვილი.**

ყველა წარმატების თავი და თავი ხომ მშობლიური, ალერსიანი აღმზრდელები და მათი თანაშემწეები არიან. აღმზრდელები, დედებივით განსაკუთრებით ზრუნავენ პატარებზე. ესენი არიან: **ნინო** და **მაგდანა ანდღულაძეები, ნინო გაფრინდაშვილი, ნანა გიგაშვილი, მარიამ კალანდაძე, ნინო მელაშვილი, მაია მენაბდიშვილი, დარო პაპავა, სალომე სულაძე, ლეილა ტარყაშვილი, მზია ფოფხაძე, ნათელა ქადაგიშვილი, ლალი ქარელიძე, ლეილა ძაძამია, სოფიო ჭიაბერაშვილი** და **ქეთინო ხარატიშვილი.**

აღმზრდელებს გვერდში აქტიურად უდგანან და პატარებზე ზრუნვით თავს არ იზოგავენ მათი თანაშემწეებიც: **თამარ ბუაძე, კარინე დანელიანი, ლილი იჩქიტიძე, მაია კენჭოშვილი, ია ცერცვაძე, თამარ ორაგველიძე, ნინო სპანდერაშვილი, სოფიო ღვინიანიძე** და **მანანა წიკლაური.**

ბაგა-ბაღს, მის მშვენიერ ეზოკარს საგულდაგულოდ იცავენ დარაჯები: **ლალი დოლიძე** და **ანა კორძაძე.** მწვანე ნარგავების მოვლა ხელოვნებაა... ამ საქმეს კარგად უძღვება მებაღე **ინგა ბინიაშვილი.**

შექებას იმსახურებს ბაღის დამლაგებლების: **ირმა ლომსაძის, მანული ლაგურაშვილის, თამარ ასოევას, ირმა მელიქაძის, ანა ლეკიშვილი-მჭედლიშვილის** და მუშის – **თამარ მანჩხაშვილის** საქმიანობაც.

აქაური მესვეურები მოწოდებულნი არიან იმისთვის, რომ ბაღი იყოს სანიმუშო, გამორჩეული და ერთობლივი ძალისხმევით, მშვენიერ შედეგებსაც აღწევდნენ და კვლავაც მიაღწევენ. სასურველი მიზნების განხორციელებაში კი, მათ გვერდში უდგათ თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოების უფროსი **თემურ თორდინავა**, რისთვისაც მას მადლობას უხდის ყველა: დიდი, პატარა, მათი მშობლები.

კარგი სტარტი გამარჯვების საწინდარიაო. ჰოდა, კარგი ტემპი აკრიფა ახალმა დირექტორმა **ნანა ჯანელიძემ**.

ახალ წელს ახალი სიხარული და ბედნიერება მოეტანოს თქვენთვის, 86-ე ბაგა-ბაღელებო!

მზია გოგოძე

მოდერნიზებული აფორიზმები

აფორიზმების მოდერნიზება ვინ გაიგონაო? რატომაც არა? თუ თავად **მოდის** გამოდერნიზება შეიძლება, ფრთიანი გამოთქმების პაროდირება უფრო ადვილი არ არის? უცხოური ტერმინი თუ არ მოგწონს, გათანამედროვება დაუძახე.

***

- მას დედის ძუძუ ტკბილი არაფრად შერგებია, მასწავლებლის დახმარება ვისაც დაზარებია.
- ვინც ფულს მისცემს სწავლისათვის, მას – დიპლომი გზად და ხიდად.
- ვინც წიგნსა არა კითხულობს, იგი თავისა მტერია.
- მინისტრობა რაღას უზამს, თუკი ცოდნამ არ უშველა?
- განათლების მინისტრი განათლების მისაღებად ინგლისში გააგზავნესო.
- ვინ გადაგაჩვია წერა-კითხვასო? ვინ და – კომპიუტერმაო.
- საქმის კეთებაა ძნელი, თორემ მრჩეველ-მიმთითებელი ბაღდადიდანაც მოვაო.
- პარლამენტარი შინ არ ვარგოდაო და წარამარა სტრასბურგში გარბოდაო.

ხალხში გაგონილი შეკრიბა
მოსე მწერალმა

გრიგოლ აბაშიძე

ზამთარი

ტყის სიმწვანე სად წასულა,
ჩიტუნები სად არიან?
თოვლი მოდის, ქარი წივის:
„ზამთარია! ზამთარია!
შეხე ბებლებს, ფრთათეთრ
ბებლებს,
ხეებს ირგვლივ ევლებიან,
ეს თოვლია, თოვლი მოდის,
განა მართლა ბებლებია!
ეს ზამთარი შემოგრძანდა
თეთრწვერა და თმაჭაღარა,
გუნდამ, ციგამ,
თოვლის კაცმა –
ყველამ, ერთად გაგვახარა.

„არდავიწყება მოყვრისა“

ეძღვნება ავტორის მეგობრის
დავით ნაცვლიშვილის ხსოვნას

უფალო ჩემო!

უფალო ჩემო, მე მონა შენი
მე მონა შენი დაბრმავებული,
მსხვერპლად მოგიძღვნი
სიცოცხლეს ჩემსას,
ოღონდ აცხოვნე
ტრისტანის სული.
ქრისტე! – ხარ ჩემი სიმდიდრე,
საუნჯე ჩემი გულისა,
უფალო, შენთვის მოკვდები,
დავიდგამ ეკლის გვირგვინსა.
გოლგოთას ავალ, უფალო,
ჯვრიდან დავლოცავ შენს ერსა,
უფალო, დათო აცხონე,
ნუ მიატოვებ ცოდვილსა!
ქრისტე! – ხარ ჩემი სამშობლო,
და ფეთქვა ჩემი გულისა,
შენი ვარ, ყველგან დაგეძებ
და ვეძებ ეკლის გვირგვინსა.
წმინდათ ღმერთო, გვაცხოვნე,
მოგვიტევებდე ცოდვებსა.
კენესა აღმთხდა საბრალო
და უბადრუკსა ჩემს სულსა,
რაჟამს იხილა, უფალო,
სიმდაბლე შენი გულისა.
იესო, – შენი სახელი
ემსგავსა ცრემლის წყაროსა,
იესო, – რაღა ამთშლის
გულიდან წმინდა სახელსა.
ქრისტე! – ხარ ჩემი სიცოცხლე,
და სუნთქვა ჩემი სულისა,
უფალო, შენთვისა ვკვდები
და ვდგამ ეკლის გვირგვინსა.
წმინდათ ღმერთო, გვაცხოვნე,
მოგვიტევებდე ცოდვებსა!

ზურა კოკოევი

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 1 (4522)
13 იანვარი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009